სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/145

ქ. თბილისი 19 სექტემბერი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ ომარ მიქაძის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარდგენილ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ ომარ მიქაძის კანდიდატურა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ 2024 წლის 4 სექტემბერს გამოქვეყნებული განცხადების შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში **“ მეტალურგია და მასალათმცოდნეობის“ სპეციალობით.**
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**